საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2345

2020 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული:

ა) დანართ №1-ის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი“):

ა.ა) პირველი პუნქტის:

ა.ა.ა) „ო.ბ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო.გ“ ქვეპუნქტი:

„ო.გ) ის მოსამსახურეები, რომლებიც არ იმყოფებიან ყაზარმულ რეჟიმზე, მაგრამ უშუალო შეხება აქვთ ბრალდებულებთან/ მსჯავრდებულებთან და/ან ყაზარმულ რეჟიმზე მყოფ სხვა მოსამსახურეებთან;“;

ა.ა.ბ) „ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი:

„ტ) სტაციონარულ (მ. შ., დღის სტაციონარსა და ემერჯენსში) დაწესებულებაში ჰოსპიტალიზებული პაციენტები, სიმპტომების მიუხედავად.“;

ა.ბ) 4^1 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^2 პუნქტი:

„4^2. ამ წესის პირველი პუნქტის „ო.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან ყოველ 72 საათში ერთხელ.“;

ა.გ) მე-12 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. ამ წესით განსაზღვრული ის პირები, რომელთა SARS-CoV-2-ზე ტესტირება ხორციელდება გეგმურად (7 დღეში, 14 დღეში ან 72 საათში ერთხელ) და აქვთ ექიმის მიერ გაცემული გადატანილი COVID-19-ის დამადასტურებელი ცნობა, არ ექვემდებარებიან გეგმურ ტესტირებას გამოჯანმრთელების თარიღიდან მომდევნო 3 (სამი) თვის განმავლობაში.“;

ა.დ) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. 2021 წლის 1 თებერვლამდე, ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი მეთოდით ტესტირება უპირატესად ხორციელდება ამ წესის პირველი პუნქტის „ა“, „თ“, „ო.გ“ და „ს“ ქვეპუნქტებით, ასევე 4^1 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებში.“;

ა.ე) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. ამ წესის მე-14 პუნქტით განსაზღვრული მეთოდით ტესტირებისას:

ა) გამოხატული სიმპტომების შემთხვევაში, ანტიგენის დადებითი შედეგი არ საჭიროებს პჯრ მეთოდით

გადამოწმებას;

ბ) უსიმპტომო პირების შემთხვევაში, ანტიგენის დადებითი შედეგის გადამოწმება პჯრ მეთოდით ხორციელდება ექიმის გადაწყვეტილებით;

გ) უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, შემთხვევის სტანდარტული განმარტების შესაბამისად, გადამოწმება პჯრ მეთოდით ხორციელდება ექიმის გადაწყვეტილებით.";

ა.ვ) მე-15 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16 პუნქტი:

„16. 2021 წლის 1 თებერვლამდე, ამ წესის პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „თ.ა" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების ტესტირება ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.";

ბ) დანართი №2 ამოღებულ იქნეს.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე. განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 22 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**